



სამუშაო შეხვედრა აჭარაში
ბათუმი, 2015 წლის 21 მარტი

სესია კულტურული მემკვიდრეობა

მოდერატორი : თამარ წულუკიძე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის კულტურის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი

მონაწილეები :

მირანდა ჩარკვიანი, ს.ს.ი.პ. აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორი
ლაშა ასლანიშვილი, ს.ს.ი.პ. აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს სამუზეუმო განყოფილების უფროსი
ემზარ კახიძე, გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი, აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო
თემურ ტუნაძე, ძმები ნობელის სახელობის ბათუმის ტექნიკური მუზეუმის მმართველი
შოთა მამულაძე, გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის მმართველი
მერაბ ხალვაში, ს.ს.ი.პ. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი
ნინო ძნელაძე, ს.ს.ი.პ. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი
ნანა ქორიძე, ს.ს.ი.პ. აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმ-ფონდების მთავარი მცველი
ნანული სეზუა, ს.ს.ი.პ. აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი, აკადემიური მდივანი
ედნარ ქიქავა, ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა, დირექტორის მოადგილე
ერმილე მესხია, ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, რექტორი, პროფესორი
ალეკო თევზაძე, ბათუმის მერის მრჩეველი კულტურის საკითხებში
ნათია ნიუარაძე, ქობულეთის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი
გიორგი ფარტენაძე, ქობულეთის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი
გიორგი ფარტენაძე, ა.ა.ი.პ. ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილე

მაგული მურადიშვილი, ა.ა.ი.პ. ხელვაჩაურის კულტურის ცენტრი, სამუზეუმო განყოფილების უფროსი
ნაზი ფურცელიძე, ა.ა.ი.პ. ხელვაჩაურის კულტურის ცენტრი, ბიბლიოთეკარი
მერი თურმანიძე-დავითაძე, შუახევის საჯარო ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი
ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე, ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობა, განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და
ძველთა დაცვის სამსახურის უფროსი
ირმა ქოქოლაძე, ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და ძველთა დაცვის განყოფილების მთავარი
სპეციალისტი განათლებისა და კულტურის საკითხებში
ვაჟა ფარტენაძე, ქედის ისტორიული მუზეუმის დირექტორი
გულნაზ მახარაძე, ქედის ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი
ნუგზარ შავაძე, ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურისა და ტურიზმის განყოფილების უფროსი

ორსაათიან დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს ბათუმის, ქობულეთის, ქედის, ხულოს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების, ს.ს.ი.პ-ების წარმომადგენლებმა. საუბარი შეეხო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებს. ყურადღება გამახვილდა ისეთ პრობლემებზე, როგორცაა ძეგლების ცნობადობის გაზრდისა და საზოგადოებაში კულტურის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების საჭიროება, ასევე, თბილისსა და რეგიონს შორის კომუნიკაციის ნაკლებობა, იუსტიციის სამინისტროსა და სააგენტოს მონაცემთა ბაზების დესინქრონიზაცია. აღინიშნა, რომ საკანონმდებლო ხარვეზები კანონმდებლობის სუბიექტური ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. შეხვედრაზე ხაზი გაესვა პეტრას ციხის გადარჩენის საჭიროებას. რეგიონში არ არის განვითარებული ძეგლების ტურიზმი და არ არსებობს ინსტიტუციური მესხიერება (კადრების თუ სტრუქტურული ცვლილებებისას არ ხდება ინფორმაციისა თუ ცოდნის გადაცემა), პრობლემებია ადამიანურ რესურსთან დაკავშირებითაც, რასაც თავის მხრივ, განათლების სისტემის ხარვეზები იწვევს. ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის რექტორმა, ერმილე მესხიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ კულტურის სტრატეგიის დოკუმენტზე მუშაობისას აუცილებელი იქნება განათლების სფეროსათვის ცალკე თემატური ჯგუფის შექმნა.

შეხვედრის მონაწილეთა აზრით, აუცილებელია შეიცვალოს ბიზნესის მუზეუმებთან დამოკიდებულებაც. მუზეუმებში არ არსებობს ავტომატური სამუზეუმო საინფორმაციო სისტემა, არ ხდება ექსპონატების გაციფრულება. დასარეგულირებელია სახელფასო განაკვეთები და შტატები. გარდა ამისა, ბიბლიოთეკების სკოლის ბიბლიოთეკებთან გაერთიანების შემდეგ, აღინიშნა მკითხველისათვის წიგნის ხელმისაწვდომობის პრობლემა.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებით გამოვლინდა შემდეგი პრობლემები:

კანონმდებლობა:

- საჯარო რეესტრის ბაზაში არ არის შესაბამისი მითითება ძეგლის სტატუსის მქონე შენობებთან დაკავშირებით
- იუსტიციის სამინისტროს ბაზებთან კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს ბაზების სინქრონიზაცია (საჯარო რეესტრი არ იძლევა ინფორმაციას კონკრეტული ობიექტი არქეოლოგიური დაცვის ზონაა თუ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი).
- კანონის სუბიექტური ინტერპრეტაციის შესაძლებლობა

ფინანსები:

- არ არსებობს დაფინანსების ალტერნატიული წყაროები

ინფრასტრუქტურა:

- მოსაწესრიგებელია ძეგლთან მისასვლელი ინფრასტრუქტურა

მენეჯმენტი:

- ძეგლების მოძველებული ბაზა - არასრულყოფილი პასპორტიზაცია
- არ ხდება ძეგლის მარკეტინგული შესწავლა და დამუშავება
- კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს და ტურიზმის დეპარტამენტის არაკოორდინირებული მუშაობა
- სფეროს არაეფექტური მართვა - კომუნიკაციის დეფიციტი თბილისსა და საერთაშორისო დონეზე
- ინსტიტუციური მესხიერების დეფიციტი - ცოდნა/გამოცდილება არ გადაიცემა
- ადამიანური რესურსები მუნიციპალიტეტებში არ არის ადეკვატურად განაწილებული საქმის შესრულებასთან მიმართებით
- რეგიონის და ადგილობრივ ხელისუფლებას მკაფიო ხედვა უნდა გააჩნდეს ძეგლების მიმართ.

კომუნიკაცია:

- კომუნიკაციის ნაკლებობა თბილისსა და რეგიონს შორის
- ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების დაპირისპირება ძეგლთა დაცვის ინტერესებთან (გონიოში მინების გასხვისება, უკან დაბრუნება, მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს, მოსახლეობა ეწინააღმდეგება გათხრების ჩატარებას)
- ტურიზმის სააგენტოსთან და ტურისტულ კომპანიებთან კომუნიკაციის გაძლიერება
- კომუნიკაციის დეფიციტი საერთაშორისო დონეზე.

განათლება:

- ძველის დაბალი ცნობადობა
- გამოცდილების გაზიარების ნაკლებობა - ინფორმაციის დეფიციტი პილოტური პროექტების განხორციელების შესახებ
- მოსახლეობას არ აქვს გაცნობიერებული ძველის მნიშვნელობა
- საზოგადოების ყველა დონეზე გათვითცნობიერება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მნიშვნელობის და მისი ეკონომიკური როლის შესახებ
- არ ტარდება განათლების, კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები